ხელშეკრულება N02/10/162-16
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „30" სექტემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** წარმოდგენილი - მისი დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მაკა გვარამიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ **შპს „ვექტორ-სტუდიო +"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ყირმიზოვის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის მე-1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, *გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:*

გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის (მომსახურების) მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მე-4, მე-6, მე-12 და მე-13 რაიონული სამსახურების შენობების ეზოებში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა - CPV71242000;**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს: **1150,00 (ერთიათას ასორმოცდაათი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობთ ეკისრება მიმწოდებელს.

3.3 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები და მისამართები მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების გაწვის ვადები და პირობები

4.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მოწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2 სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენაცია შედგენილი უნდა იყოს ობიექტების მიხედვით ცალ-ცალკე, 3 (სამი) ეგზემპლარად. ხაზობრივი მონაკვეთი უნდა დამუშავდეს ასევე, SHAPE ფაილით, GIS-ის ფორმატში. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს DWG და PDF ფორმატში. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენაცია წარმოდგენილი უნდა იქნას, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით.

4.3 სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენაცია შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის სამსახურებთან („თბილსერვის ჯგუფი სანიაღვრე მეურნეობა"; „სინათლის ქალაქი"; „ახალი ქსელები"; „სილქნეტი"; „ყაზტრანსგაზ-თბილისი"; „თელასი"; „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (gwp).).

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი შესყიდვის ობიექტი (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენაცია).

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში უსასყიდლოდ გასწიოს საავტორო ზედამხედველობა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებეს 2016 წლის 02 დეკემბრის ჩათვლით.

6. სტანდარტები

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ხარისხი

7.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

9.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სამეურნეო განყოფილების უფროსი.

9.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

10. ანგარიშსწორება

10.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

10.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაწეულ სამუშაოზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ზეპირად ან/და წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღურება.

14.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“	შპს „ვექტორ-სტუდიო +"
მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8	მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N55/1, ბინა 20;
ტელ: 2 547099	ტელ: 2 955 417; 558 66 46 47; 558 19 24 63.
ს/კ: 200280141	ს/კ: 404418019
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სახაზინო კოდი: 300779921	GE87BG0000000616700800
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი /მაკა გვარამია/	დირექტორი /ვაჟა ყირმიზოვი/

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-4, მე-6, მე-12 და მე-13 რაიონული სამსახურების შენობების ეზოებში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯთაღრიცხვა

N	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-9 საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	1	287.50
2	ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, მე-15 საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	1	287.50
3	ქ. თბილისი, ვარაზის ხევისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ცენტრის შენობის ეზოში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	1	287.50
4	ქ. თბილისი, წერონისის ქუჩა N164-ში მდებარე შენობის ეზოში სანიაღვრე-წყალშემკრების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	1	287.50
	ჯამი		1150.00

სანიაღვრე-წყალშემკრები სიგრძეში უნდა იყოს არანაკლებ 5 მ და არაუმეტეს 6 მ, ხოლო სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 3 მ და არაუმეტეს 4 მ, ობიექტბზე არსებული მდგომარეობის მიხედვით.

შემსყიდველი

მაკა გვარამია

მიმწოდებელი

ვაჟა ყირმიზოვი